ბატონო პრეზიდენტო,
ბატონებო და ქალბატონებო,

ერთი წლის წინ, სწორედ ამ ტრიბუნიდან დაიწყო 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელება და დაიდო პირობა, რომ „უგულებელყოფილი არავინ იქნება“.

ამ განცხადებით გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება მიგრაციის კრიზისის შედეგებზე რეაგირებასთან დაკავშირებით, რომელმაც უკვე მილიონობით ადამიანი დატოვა უსახლკაროდ. მიუხედავად ამისა, იძულებით გადაადგილება ამის შემდეგ კიდევ უფრო გამძაფრდა - წელს დაფიქსირდა საერთაშორისო მიგრანტების, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების გამაოგნებელი რაოდენობა - 300 მილიონი.

ამ ფონზე კონფლიქტები და მღელვარება აფრიკასა და შუა აღმოსავლეთში დღესაც იწვევს მასობრივ გადაადგილებას, ხოლო საზღვრების გადაკვეთისას დაღუპული მიგრანტების რიცხვი დღითი დღე იზრდება.

მილიონობით ადამიანი მთელ მსოფლიოში დგას საფრთხის წინაშე, რომ მათ უგულებელყოფენ.

ბატონებო და ქალბატონებო,

იძულებით გადაადგილების ტვირთის სიმძიმეს საქართველოც განიცდის.

90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს კუთვნილი აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონების ოკუპაციის პირობებში რამდენჯერმე განხორციელდა ეთნიკური წმენდა. დაახლოებით 400 ათასი ადამიანი იქცა იძულებით გადაადგილებულ პირად მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობა სულ ოთხ მილიონს შეადგენს. მიმდინარე მცოცავი ანექსიისა და საოკუპაციო ხაზების გაყოლებაზე მავთულხლართების განთავსების პირობებში მათი შინ დაბრუნების პერსპექტივა არცთუ ისე იმედისმომცემია. ამასობაში კი ოკუპირებულ

ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკური ქართველები ყოველდღიურად განიცდიან დისკრიმინაციას.

უბრალოდ დაუშვებელია ამაზე და მსოფლიოში მიმდინარე სხვა პროცესებზე თვალის დახუჭვა.

ჩვენ უკვე მივიღეთ 4 000-ზე მეტი თავშესაფრის მაძიებელი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან (უკრაინა, ერაყი, სირია, ეგვიპტე და სომალი). იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას ქართული უნივერსიტეტები სთავაზობენ სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებს. ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ განათლების სფეროში დახმარების მიწოდებას დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, დონორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების ჩათვლით, რომლებსაც აქვთ ამ ინიციატივის ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობა.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, ლტოლვილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისრის ოფისი და სხვა საერთაშორისო უწყებები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა რეაგირება მოახდინონ მსხვერპლთა პრობლემებზე, მაგრამ სიტუაციის სიმძიმე ითხოვს კოორდინირებულ რეაგირებას - დღევანდელი ვითარება ხომ უპრეცედენტოა! ჩვენ უნდა მოვახდინოთ რეაგირება იძულებით გადაადგილების მთავარ მიზეზებზე და უზრუნველვყოთ, რომ სიტუაცია არ გამოვიდეს კონტროლიდან. ჩვენ ყურადღება უნდა გავამახვილოთ უფრო პრევენციაზე, ვიდრე რეაგირებაზე, ანუ თავიდან ავიცილოთ კონფლიქტების გამძაფრება და იძულებით გადაადგილების შემდგომი მოზღვავება.

აქ კი მთავარი კითხვაა: საიდან დავიწყოთ?

კონფლიქტების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზია საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა. თუკი ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ყველა მხარემ დაიცვას კანონები და ზედმიწევნით შეასრულოს თავისი ვალდებულებები, მაშინ უფრო მშვიდობიანი მსოფლიოსკენ მიმავალი გზა ხსნილი იქნება და ჩვენ შევძლებთ კრიზისებისა და მასობრივი იძულებით გადაადგილების პრევენციას, რაც მილიონობით ადამიანს გადაარჩენს ტრაგედიისგან.

მაისში სტამბულის მსოფლიო ჰუმანიტარულ სამიტზე ჩვენ დავდეთ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მათი პრობლემების უსაფრთხო, ღირსეული და გრძელვადიანი გადაწყვეტის გზების მოძიებისა და ახალი მიდგომის გამოყენების პირობა. შინ უსაფრთხოდ დაბრუნება ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც გარანტირებული უნდა იყოს, მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა.

კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა საკმაოდ პატარაა და ჩვენც გვაქვს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები, მომავალშიც შეიტანს წვლილს საერთაშორისო ძალისხმევაში, რომელიც მიმართულია მიგრანტებისა და ლტოლვილების მასობრივი გადაადგილების მართვისკენ.

გმადლობთ.